**ჩემპიონატი**

## პაიჭაძემ, გაიტანა სამი ბურთი

24 ივნისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონის იარუსები ჩვეულებრივად აივსო მაყურებლებით. ფეხბურთის გულშემატკივრები, სპორტის ამ დარგით დაინტერესებული ადამიანები მოსულიყვნენ აქ იმისათვის, რათ ენახათ ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდის – **ლენინგრადისა და თბილისის "დინამოს"** საინტერესო "ბრძოლა".

თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ თავიანთი ძირითადი შემადგენლობით. ასევე ითქმის ლენინგრადელებზედაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ რამდენიმე მოთამაშესათვის შეეცვალათ ადგილი.

ტაიმი დაიწყო გარდამავალი შეტევებით. მე–5 წუთამდის თითქმის არც კი შექმნილა კარებთან სახიფათო მომენტები. თანდათანობით ტერიტორიული უპირატესობა გადადის თბილისელთა მხარეზე. თავდამსხმელთა ხუთეულმა ააწყო თამაში. მისი წამყვანი მოთამაშე ბ. პაიჭაძე ენერგიულად იბრძვის. ცნობილი ფეხბურთელი ლემეშევი ვერაფერს გახდა პაიჭაძესთან, იგი მხოლოდ უსისტემოდ იგერიებდა ბურთს.

მე–10 წუთზე ჯეჯელავამ და პაიჭაძემ მარჯვენა ფრთიდან გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია. საჯარიმო მოედანზე შექმნილი მდგომარეობა უნაკლოდ გამოიყენა პაიჭაძემ, – მეკარე ვასილენკომ განძრევაც კი ვერ მოახერხა, ოსტატის შუტმა გაარღვია ლენინგრადის დინამოელთა კარი. უარესი ბედი ეწვია ლენინგრადელთა მეკარეს ტაიმის დასასრულს. კვლავ ჯეჯელავას ზუსტი გადაცემით გარღვევაზეა პაიჭაძე. იგი ატყუებს ორ მოთამაშეს, ბოლოს კარიდან გამოსულ მეკარესაც და – ადიდებს ანგარიშს. 45-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ – 2:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში სტუმრებმა შეცვალეს მეკარე და მარჯვენა გარემარბი – თამაშობდნენ ხიტროვი და საზონოვი. იერიში თბილისელებმა დაიწყეს. მათი კომბინაციური, ტემპიანი და კოლექტიური თამაში მაყურებელთა საერთო მოწონებას იწვევდა. დამცველთა რიგებში პანიკა შეიქნა, თავდამსხმელებიც დაიბნენ.

მე–10 წუთზე კვლავ ორდენოსანმა სპორტსმენმა ბ. პაიჭაძემ ისახელა თავი. გავაშელი მას მოხერხებულად აწვდის ბურთს. ფინტის ოსტატი ახერხებს სამ მოთამაშეში გავლას და არაჩვეულებრივი სიძლიერით მესამეჯერ არღვევს მოწინააღმდეგის კარს.

მე–12 წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე პანიუკოვი შემთხვევით ეცემა ბურთზე – "პენალტი". ა. ფედოროვი ათანაბრებს ბურთს. პირველმა ბურთმა გამოაცოცხლა სტუმართა თამაში, ისინი უტევენ თბილისელთა კარს. მე–20 წუთზე მარჯვენა ფრთიდან ძლიერად ურტყამს საზონოვი, მეკარე იოსელიანმა მოიგერია ბურთი, მაგრამ შემდეგ მის ძებნაში მოულოდნელად თვითონვე წაჰკრა ხელი და შეაგორა იგი თავის კარში.

ტაიმის დასასრულს მეორდება ლენინგრადის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს" მატჩის ისტორია. მეკარე დაშავდა, გაყავთ მოედნიდან, მის ადგილს იკავებს დამცველი ზაბელინი. თბილისელებმა, რომლებსაც დაეტყოთ დაღლილობა ვერ გამოიყენეს მომენტები, სუსტად დარტყმული ბურთები ხელში უვარდებოდა "მეკარე" ზაბელინს.

მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით 3:2. ამჟამად მოსკოვის "დინამოსთან" ერთად თბილისის დინამოელები ითვლებიან გათამაშების ლიდერებად. 10 მატჩის 20 შესაძლებელი ქულიდან თითოეულ მათგანს მოგროვილი აქვს 15 ქულა.

**"ახალგაზრდა კომუნისტი", 25 ივნისი, 1941 წ.**